შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგია
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შეკვეთის ადგილი

საქმე №3/2765-23

1. ა(ა)იპ „მწავნე ალტერნატივა"; [redacted]

ბადრი შონია

ძოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება) მოსამართლის სახელი და გვარი

მოპასუხე: *შენიშვნა-1*

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

204556691

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150

სახელი, გვარი (სახელწოდება) პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხის წარმომადგენელი: შენიშვნა-3

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-4

ნინო სამადაშვილი		1. 591208875;	
მარი იმერილიშვილი		2. 599130610	
სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

შენიშვნა-8

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - საქმისათვის არ აქვს მნიშვნელობა

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით სადავოდ არ არის გამხდარი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 7 მარტის N2205/01 წერილი, რომლითაც შეწყდა შპს „გეო ენერჯი"-ს 2022 წლის 14 თებერვლის განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება, არარსებითია და შემხებლობაში არ არის გასაჩივრებული აქტის კანონიერებასთან.

სადავოდ გამხდარი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანება გამოიცა, შპს „გეო ენერჯი"-ს 2022 წლის 14 დეკემბერის განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, რა დროსაც თავიდან დაიწყო საკითხის გამოკვლევა/ განხილვა და კანონით დადგენილი შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

მტკიცებულება:

დანართი N2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

ვინაიდან, მოსარჩელეები უთითებენ იგივე გარემოებაზე, რაზეც პირველ ფაქტობრივ გარემოებაშია მითითებული. ამასთან, ფუნქციური ზონის ცვლილებაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო და როცა საქმეში წარმოდგენილია შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანხმობის შემთხვევაში, სააგენტოს მიეცემა შესაძლებლობა იმსჯელოს ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხთან დაკავშირებით, რისთვისაც საჭიროა მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ან უფლებამოსილმა პირმა სსიპ ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარადგინოს ელექტრონული განაცხადი. შესაბამისად, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გაითვალისწინა სსიპ ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია, ფუნქციური ზონი ცვლილების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემთხვევაში, განხილვის შესახებ.

მტკიცებულება:

დანართი N2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

შპს „გეო ენერჯი"-ს სკოპინგის განცხადება კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2022 წლის 16 დეკემბერს განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (იხ. ელ. ბმული https://nea.gov.ge/Ge/GZSH/1186) და გაეგზავნა კრწანისის რაიონის გამგეობას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ხოლო, ვინაიდან „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 დეკემბრის N580 დადგენილებით 2023 წლის 3 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით დღეები გამოცხადდა უქმე დღეებად, პროექტზე შეიცვალა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის ვადა და სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნების/მოსაზრებების წარმოდგენის განცხადებაში (იხ. ლინკიhttps://nea.gov.ge/Ge/GZSH/1186) მითითებული ბოლო ვადის - 2023 წლის 9 იანვრის ჩათვლით ნაცვლად, განისაზღვრა 2023 წლის 13 იანვრის ჩათვლით პერიოდი. რაც ასევე

განთავსდა სააგენტოს ვებ-გვერდზე https://nea.gov.ge/Ge/GZSH/1214 და ეცნობა შესაბამის მუნიციპალიტეტს.
მტკიცებულება:
დანართი N2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
ვინაიდან, საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ვებ-გვერდზე 2022 წლის 21 დეკემბერს (იხ. ელ ბმულიhttps://nea.gov.ge/Ge/GZSH/1206), კრწანისის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე და ფეროშენადნობების საწარმოს სიახლოვეს, თავშეყრისა და ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, ინფორმაცია დამატებით გამოქვეყნდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე (https://eiec.gov.ge/Ge/PublicHearings/218) და გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. შპს „გეო ენერჯი"-ს ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 12 იანვარს, 14:00 სთ-ზე, ქ. თბილისის N218 საჯარო სკოლის შენობაში. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გამოთქვა წინააღმდეგობრივი (უარყოფითი) პოზიცია და აღინიშნა, რომ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებასთან. საჯარო განხილვაზე დამსწრე პირთა მიერ გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები, ფეროშენადნობების საწარმოსთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახა საჯარო განხილვის ოქმში.
მტკიცებულება:
დანართი N2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
ვინაიდან, საჯარო განხილვის ოქმში გასათვალისწინებლი საკითხები მოცემულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის საფუძველზე გამოცემული, „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებაში. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით იქნა სხდომის ოქმში შეტანილი შესაბამისი საკითხები/ინფორმაცია და მოსარჩელეთა მითითება, რომ სხდომის ოქმში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ საწარმო დათვალისერებისას უკვე მოწყობილი იყო, არ შეესაბამება დადგენილ წესსა და მოთხოვნებს. ამასთან, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება ვერ ადასტურებს სააგენტოს მიერ არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოების გამოუკვლევლობას და ვერ განაპირობებს სადავო აქტის კანონშეუსაბამობას. როგორც წესი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ კომპეტენციის ფარგლებში განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი რეაგირება. კერძოდ: ვინაიდან, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დადგინდა, რომ შპს „გეო ენერჯის" მიერ, ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობა მოხდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე, სააგენტოში წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, შემდგომი რეაგირების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 17 იანვრის №21/159 წერილით გაეგზავნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ამავე დეპარტამენტის მიერ 2023 წლის 7 თებერვალს წარმოდგენილ იქნა DES 2 2300007929 წერილი, რომლის მიხედვით დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს „გეო ენერჯის" მიერ, ფეროშენადნობთა საწარმოს

სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოები განხორციელებულია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობის ფაქტზე, 2023 წლის 1 თებერვალს, შპს „გეო ენერჯის" მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 79-ე მე-7 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №072923 ოქმი და დეპარტამენტის 2023 წლის 6 თებერვლის DES 8 2300007619 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მიერ გაცემულ N1 სკოპინგის დასკვნაში, გზშ-ის ანგარიშში გასათვალისწინებელი საკითხებში/შენიშვნებში მითითებულია, რომ „წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია".

მტკიცებულება:

დანართი N2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

მე-6 ფაქტობრივ გარემოებას ვეთანხმებით.

ვინაიდან, აღნიშნული ფაქტი, წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ კანონის საფუძველზე განხორციელებულ ღონისძიებას, რასთან დაკავშირებითაც სააგენტოს შესაგებლის მე-5 ფაქტობრივი გარემოების ნაწილში - ზემოთ უკვე აღინიშნა.

დანართი N2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

მე-7 ფაქტობრივ გარემოებას არ ვეთანხმებით.

ვინაიდან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შესაბამისი რეაგირებისა და ღონისძიებების განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო არ წარმოადგენს. ხოლო კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტომ უზრუნველყო შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოს ჩართულობა, რასაც შემდგომში მოყვა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება/შედეგები. აღნიშნულ საკითხზე საგენტოს უფლებამოსილების სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით მითითებულია შესაგებლის სამართლებრივი საფუძვლების დასაბუთების ნაწილში (გრაფაში).

დანართი N2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

მე-8 ფაქტობრივ გარემოებას არ ვეთანხმებით

ვინაიდან, სააგენტოს მიერ გაცემული N1 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრულია, რომ გზშ-ის ანგარიშში, წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების და შრომის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია.

დანართი N2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

მე-9 ფაქტობრივ გარემოებას არ ვეთანხმებით

ვინაიდან, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი იყო საწარმოს ტერიტორიის მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, ასევე ანგარიშს თან ახლდა shp ფაილები. სკოპინგის ანგარიშში მითითებული იყო, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია 200 მეტრით. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის (01.18.13.033.139) ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ უშუალოდ მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან უახლოეს დასახლებულ

საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენდა დაახლოებით 90 მეტრს, შესაბამისად სკოპინგის დასკვნაში მითითებულ იქნა, რომ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ყოფილიყო დაზუსტებული მანძილი საწარმოდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე. აღსანიშნავია, რომ გზშ-ის ანგარიშში, სკოპინგის დასკვნის შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც საწარმოდან, ასევე უშუალოდ გაფრქვევის წყაროებიდან დაზუსტებული მანძილები უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე.

დანართი N2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

მე-10 ფაქტობრივ გარემოებას არ ვეთანხმებით,
ვინაიდან, მოსარჩელეები სარჩელის მე-10 ფაქტობრივ გარემოებაში ურთიერთგამომრიცხავ შეფასებებს აკეთებენ, მიუთითებენ სააგენტოს მიერ კანონიერად განხორციელებულ ქმედებებზე და ამასთან, თვლიან, რომ საწარმოს უნებართვოდ მოწყობის ფაქტის შესახებ სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, რომ ეცნობა, თითქოსდა ამით სააგენტომ დაარღვია რომელიმე ნორმა. ასევ უთითებენ, რომ ფაქტი ისეა აღწერილი თითქოს, მას გავლენა არ უნდა ჰქონოდა მიმდინარე პროცესზე. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული გარემოება არ ასაბუთებს სააგენტოს მიერ კანონდარღვევას და სკოპინგის დასკვნის უკანონობას. სააგენტოს მიერ კანონით დადგენილ განხორციელებულ ქმედებაზე ზემოთ უკვე აღინიშნა, მაკონტროლებელი ორგანოსა და სააგენტოს კომპეტენციებზე, ასევე გზშ-ისა და სკოპინგის დასკვნებში თუ რა საკითხები უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამისი დასაბუთება ქვემოთ დეტალურადაა წარმოდგენილი. სააგენტოს მიერ გაცემულ N1 სკოპინგის დასკვნაში, გზშ-ის ანგარიშში გასათვალისწინებელი საკითხებში/შენიშვნებში მითითებულია, რომ „წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია". ასევე სკოპინგის დასკვნაში მითითებულია, რომ „სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ, საწარმოს ტერიტორიის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ფეროშენადნობების საწარმოს ინფრასტრუქტურა/დანადგარები უკვე მოწყობილია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში." სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. შესაბამისად შპს „გეო ენერჯის" მიერ, გზშ-ის ანგარიში (წარმოდგენის შემთხვევაში) შედგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

დანართი N2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

მე-11 ფაქტობრივ გარემოებას ვეთანხმებით
დანართი N2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

მე-12 ფაქტობრივ გარემოებას არ ვეთანხმებით
ვინაიდან, სარჩელის მე-12 ფაქტობრივ გარემოებად მოსარჩელეების მიერ მითითებული საკითხი, წარმოადგენს სამართლებრივ შეფასებას და აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტოს დასაბუთებული და საფუძვლიანი მოსაზრება გათვალისწინებულია შესაგებლის სამართლებრივი საფუძვლიანობისათვის განკუთვნილ ნაწილში (გრაფაში).

მე-13 ფაქტობრივი გარემოებას არ აქვს საქმისათვის მნიშვნელობა
ვინაიდან, სადავოდ არ არის გამხდარი ის ფაქტი, თუ როდის გადაეცა მოსარჩელე ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს ადმინისტრაციული წარმოების მასალები და არც მოსარჩელე უთითებს თუ რის დასასაბუთებლად და არგუმენტად მიუთითებს ამ გარემოებაზე და რამდენად განაპირობებს აღნიშნული გარემოება სარჩელის საფუძვლიანობას.

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-19

მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

მოსარჩელეების - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-სა და სხვათა მოთხოვნა: ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან „ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის" ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანება, უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად კი: ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

შესაბამისად, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას განაპირობებს კანონის ის არსებითი დარღვევები, რომელთა არარსებობაც საკითხთან დაკავშირებით განაპირობებდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას, აღნიშნული კი მოიცავს სააგენტოს მიერ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოუკვლევლობასა და საკითხის მარეგულირებელი ნორმების არასწორად გამოყენებას, რომელიც საბოლოოდ ზიანის მომტანი უნდა იყოს მოსარჩელეთა კანონით დაცული ინტერესისათვის. რაც სადავო შემთხვევაში სახეზე არ არის და ვერც სათანადო მტკიცებულებებითა და საფუძვლიანი არგუმენტაციით ადასტურებენ მოსარჩელეები აღნიშნულს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ხოლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით კი: თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთი სადავო აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელე განთავისუფლებულია მტკიცების ვალდებულებისაგან. უზენაესი სასამართლოს განმარტებით: „მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურებაზე: როდესაც სადავოა ადმინისტრაციულ-სამართლერბივი აქტის კანონიერების საკითხი, მტკიცების ტვირთი მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი), თუმცა ეს ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, თითქოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელზე მოსარჩელე სრულად თავისუფლდება მტკიცების ვალდებულებისა და მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებისაგან. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეთა მიერ ვერ დადასტურდა მათი კანონით დაცული უფლებების არსებითად ხელყოფის ფაქტი, ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რაც აღმჭურველი აქტების ბათილად ცნობის საფუძვლებს შექმნიდა, ხოლო ადმინისტრაციულმა ორგანომ, თავის მხრივ, სამართალწარმოების ფარგლებში შეძლო მტკიცების ტვირთის აწევა და დაადასტურა სადავო აქტების გამოცემის საფუძვლები და საჭიროება" (იხ. საქართველოს უზენაესი საასმრთლოს 2020 წლის 30 ნოემბრის Nბს-1268(2კ-19) გადაწყვეტილება).

შესაბამისად, ნებისმიერი მხარე ვალდებულია ლეგიტიმური და სათანადო მტკიცებულებებით დაასაბუთოს თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობა. მოქმედი სამართლებრივი ნორმები, ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებენ კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას, მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში სათანადო დასაბუთებით, მიუხედავად იმისა, ამას მოითხოვს თუ არა ნებისმიერი პირი ან/და იდავებს თუ არა სამომავლოდ სასამართლოში. შესაბამისად, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული სადავო სამართლებრივი აქტი კანონშესაბამისია, როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით, ვინაიდან გამომდინარეს და მიღებულია საკითხის მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე და არა იმის გამო, რომ სამომავლოდ სავარაუდოდ შესაძლოა სადავოდ გახდეს. აღნიშნული დასტურდება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით საჯარო განხილვების ჩატარებაში, საფუძვლიანი და სათანადო შენიშვნების გათვალისწინებასა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართულობაში. ამასთან, საქმეში წარმოდგენილია სპეციალისტების დასკვნა. ყველა აღნიშნული გარემოებებისა და დოკუმენტაციის საფუძველზე იქნა მიღებული სადავო გადაწყვეტილება. შესაბამისად, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ სადავო აქტის მიღებისას დადო ის მაღალი სტანდარტი, რომლის დაძლევის და საპირწონე მტკიცებულებების წარმოდგენაშიც დაავალდებულა ნებისმიერი მოდავე მხარე, რათა მათივე ინტერესის არსებობისას, თავადვე მოსარჩელემ უზრუნველყოს სადავო გადაწყვეტილების პროცესში არსებული დოკუმენტაციის/მტკიცებულებების, შესაბამისი/ტოლფასი დოკუმენტაციითა და მტკიცებულებებით გაქარწყლება. რაც სადავო შემთხვევაში არარსებობს მოპასუხეთა მხრიდან. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამრთლოს განმარტებით (საქმის N1/17/1493; 30/04/2020): „საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-4 წინადადების თანახმად, „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით". აღნიშნული დებულება იცავს პირის შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგადად გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, როგორც საჯარო განხილვის, ასევე საკუთარი პოზიციის წერილობით ან/და სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით წარდგენის გზით. კონსტიტუციის ხსენებული დანაწესი არ აკონკრეტებს მონაწილეობის რომელიმე ფორმას, იგი მისი განხორციელების რეალური შესაძლებლობის უზრუნველყოფას გულისხმობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მოსარჩელემ იდავოს კონსტიტუციის ხსენებული უფლების დარღვევაზე, მან უნდა დაასაბუთოს სადავო ნორმის საფუძველზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობის შეზღუდვა..... კონსტიტუცია პირდაპირ არ მიუთითებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში პირის მისთვის ყველაზე უფრო მისაღები ფორმით მონაწილეობის გარანტირებაზე. მოსარჩელე მხარე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წერილობით ან/და ელექტრონული საშუალებით წარდგენა არ არის ეფექტური შესაძლებლობა საკუთარი პოზიციების გამოსახატად და ამ თვალსაზრისით გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ობიექტური ზეგავლენის მოსახდენად". აღნიშნულიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ გარემოსდაცვით საკითხებში ნებისმიერი პირის დაინტერესებულ მხარედ მიჩნევა, სახელმწიფოს ვალდებულების არსებობა - უზრუნველყოს ასეთ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და ამავე პროცესის გამჭვირვალობა, თავისთავად და უპირობოდ არ ანთავისუფლებს ამ პროცესის მონაწილე დაინტერესებულ პირებს თავიანთი უფლების შეზღუდვის სათანადო ფორმითა და წესით, მტკიცებულებებით დადასტურებისა და დასაბუთების ვალდებულებისაგან.

საქმეში წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალებით დასტურდება, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოკვეული იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა საკითხს, რამაც განაპირობა ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის" ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანების გამოცემა.

შესაბამისად, ყოველგვარი არგუმენტირებული, დასაბუთებული და მტკიცებულებით გამყარებული პოზიციის არარსებობის პირობებში, მოსარჩელეთა მითითება, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დაირღვა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებებით გათვალისწინებული რეგულაციები. ასევე, „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-2, მე-9, მე-14 მუხლები, საქართველოს კონსტიტუციის მე-4, 29-ე და 37-ე მუხლები, „გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის პირველი, მე-3, მე-4, მე-6 მუხლები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა, მე-6, მე-7, მე-5, 53-ე, 96-ე მუხლები და ასევე საქართველოს ზოგადი დმინისტრაციული კოდექსის შესაბამის მუხლებზე მითითებით იმის განმარტება (რაც სადავო არ არის), რომ თურმე გასაჩივრებული ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, არ ასაბუთებს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანების უკანონობას და არ განაპირობებს მისი ბათილად ცნობის საფუძვლიანობას, მით უმეტეს, რომ გასაჩივრებული აქტი სწორედ ამ ნორმების გათვალისწინებითა და საფუძველზეა გამოცემული.

1. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოთა კომპეტენციის/პასუხისმგებლობის ფარგლები:

საქმეზე ობიექტური და კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ასევე არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სადავო შემთხვევაში ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მონაწილე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოთა და სააააგენტოს კომპეტენცია/პასუხისმგებლობის ფარგლები.

მოსარჩელეთა დაუსაბუთებელი მითითებით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოა თითქოსდა პასუხისმგებელი - შპს „გეო ენერჯის" მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეუთანხმებელ საქმიანობაზე ან/და დარღვევებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოთხოვილი მათივე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული, დამუშავებული ინფორმაციის, მოსაზრებისა და გადაწყვეტილების სისწორესა და კანონიერებაზე.

მოცემულ დავაში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების მითითების გარეშე, მოსარჩელეები სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ კანონის დარღვევად მიიჩნევენ ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხის გადაწყვეტას სკოპინგის დასკვნის გაცემის ეტაპზე, როცა აღნიშნული საკითხის განხილვის აუცილებლობა, შემდგომში - გზშ-ის გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე უნდა დადგინდეს და იქნეს გამოკვლეული, რაც შემდგომში უკვე დააყენებს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზონის ცვლილების საკითხის გადაწყვეტის საჭიროებას. სკოპინგის დასკვნაში რა საკითხები აისახება და რას მოიცავს ცალკე გზშ-ში გასათვალისწინებელი

საკითხები, ქვემოთ დეტალურადაა მითითებული. ხოლო, ფუნქციური ზონის ცვლილებაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, რომელიც ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში, კანონის საფუძველზე გადაწყვეტს ზონის ცვლილების საკითხს. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, „ფუნქციური ზონების ცვლილების დაზუსტების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციულ წარმოებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის შესაბამისად ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული. ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/სხვა ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტით მოწონებული მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება დასამტკიცებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული მთავრობის განკარგულების შესაბამისად ამზადებს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს".

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფუნქციური ზონის ცვლილების საფუძვლიანობასა და აუცილებლობას/საჭიროებას განაპირობებს გზშ-ის ეტაპზე მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებისას დადგენილი და გამოვლენილი გარემოებები, შესაბამისი დასაბუთებული დასკვნები და ა.შ. სკოპინგის ეტაპზე, გარემოზე ზემოქმედების ფაქტის არსებობისა და ხარისხის ოდენობის შესახებ შესაბამისი კვლევის/დასკვნის არარსებობის პირობებში, ფაქტობრივადაც და სამართლებრივადაც შეუძლებელია იმსჯელოს უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ აღნიშნულ საკითხზე და მით უმეტეს, კანონშეუსაბამოა სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ამ საფუძვლით განმცხადებელს სკოპინგის დასკვნის გაცემაზე უთხრას უარი. შესაბამისად, არც აღნიშნული და არც ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე აღმოჩენილი/გამოვლენილი იქნა დარღვევები, არ წარმოადგენს სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, ასევე არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე რეაგირებისა და შესაბამისი ღონისძიებების გამტარებელ ადმინისტრაციულ ორგანოს. ხოლო, იმ დარღვევებზე, რომელთა შესახებაც მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ცნობილი გახდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის, როგორც ზემოთაც აღნიშნა, კომპეტენციის ფარგლებში მიეცა მსვლელობა და ეცნობა შესაბამის მაკონტროლებელ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს. დღეის მდგომარეობით სადავოა სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბრძანება. შესაბამისად, განსახილველია სკოპინგის დასკვნის გაცემის ეტაპზე კანონით დადგენილი და სავალდებულოდ გასათვალისწინებელი მოთხოვნები. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8

მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სკოპინგის ანგარიში სააგენტოს წარუდგინოს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. სკოპინგის ანგარიშის სისწორისა და დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო რელევანტური ინფორმაციის წარმოდგენისთვის პასუხისმგებელია საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი. ხოლო, ამავე კოდექსის 44-ე და 45-ე მუხლებით კი: გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკონტროლებს სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარევათა კოდექსის 79-ე მე-7 პრიმა მუხლი ადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ან სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელებისათვის შესაბამის სანქციებს, მათ შორის განმეორებით იგივე ქმედების ჩადენის შემთხვევებზეც. ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 306-ე მუხლის თანახმად: საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. შესაბამისად, კანონმდებელი ასეთი ქმედებისათვის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს უკიდურეს შემთხვევაში, როცა ამოწურულია ადმინსტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ყველა საშუალება. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ასეთ ქმედებებზე რეაგირების განმახორციელებელ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. შესაბამისად, ასევე უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია მოსარჩელეთა მითითება, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს უნდა მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისათვის. ამასთან, მოსარჩელეები არ უთითებენ, რომელი ნორმის საფუძველზე ევალებოდა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვა და რომ ამ ნორმის დარღვევამ განაპირობა საკითხთან დაკავშირებით სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება.

2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სადავო გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობასა და მიღების პროცესში დაინტერესებულ პირთა მონაწილეობასთან/ჩართულობასთან დაკავშირებით:

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილიყო კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჯაროდ ინფორმაციის გავრცელებისა და დაინტერესებულ პირთა ადმინისტრაციულ წარმოებაში მაქსიმალურად ჩართულობის გზით, სააგენტომ უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში სააგენტო უზრუნველყოფს ამ განცხადებისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, აგრეთვე აღნიშნული განცხადებისა და თანდართული

დოკუმენტების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, კოდექსით დადგენილია ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და მიმდინარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობისთვის, შესაბამისი ინფორმაციის გავრცელების ვადები და მექანიზმები. ასევე, საზოგადოების მიერ შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის ელექტრონული და წერილობითი საშუალებები. მოსაზრებები და შენიშვნები სააგენტოს შესაძლებელია წარედგინოს: წერილობით (სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს, მისამართზე: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6 ან ელექტრონული საშუალებით, ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge) და ზეპირად, საჯარო განხილვის დროს.

შპს „გეო ენერჯი"-ს სკოპინგის განცხადება კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2022 წლის 16 დეკემბერს განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (იხ. ელ. ბმული https://nea.gov.ge/Ge/GZSH/1186) და გაეგზავნა კრწანისის რაიონის გამგეობას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ხოლო, ვინაიდან ,,უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 დეკემბრის N580 დადგენილებით 2023 წლის 3 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით დღეები გამოცხადდა უქმე დღეებად, პროექტზე შეიცვალა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის ვადა და სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნების/მოსაზრებების წარმოდგენის განცხადებაში (იხ. ლინკი: https://nea.gov.ge/Ge/GZSH/1186) მითითებული ბოლო ვადის - 2023 წლის 9 იანვრის ნაცვლად, განისაზღვრა 2023 წლის 13 იანვრის ჩათვლით პერიოდი. რაც ასევე განთავსდა სააგენტოს ვებგვერდზე - https://nea.gov.ge/Ge/GZSH/1214 და ეცნობა შესაბამის მუნიციპალიტეტს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადების ამ კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ან მე-2 პრიმა ნაწილით დადგენილი წესით განთავსებიდან არაუადრეს მე-10 დღისა და არაუგვიანეს მე-15 დღისა სააგენტო უზრუნველყოფს სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვას. საჯარო განხილვის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია სააგენტო. შესაბამისად, იგი უზრუნველყოფს საჯარო განხილვის ორგანიზებასთან, მათ შორის, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებასთან, დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას. საჯარო განხილვას უძღვება და საჯარო განხილვის შესახებ ოქმს ადგენს სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენელი. ამ ოქმის სისწორისთვის პასუხისმგებელია სააგენტო. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა, ამ კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად. თუ დაგეგმილია საქმიანობის თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელება, საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო თუ დაგეგმილია საქმიანობის თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელება, საჯარო განხილვა ტარდება სააგენტოს მიერ განსაზღვრული სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, გარდა ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 პრიმა ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს".

შესაბამისად, საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ვებგვერდზე 2022 წლის 21 დეკემბერს (იხ. ელ ბმული. https://nea.gov.ge/Ge/GZSH/1206), კრწანისის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე და ფეროშენადნობების საწარმოს სიახლოვეს, თავშეყრისა და ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. საჯარო განხილვის შესახებ

განცხადებაში მიეთითა კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის სკოპინგის დასკვნის მიმღები უფლებამოსილი ორგანოს, საჯარო განხილვა ღიაობის, ასევე მოთხოვნის შემთხვევაში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული დოკუმენტაციის ნაბეჭდი სახით ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია. ასევე, წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნების და მოსაზრებების წარდგენის ვადები და საშუალებები. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, ინფორმაცია დამატებით გამოქვეყნდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე (https://eiec.gov.ge/Ge/PublicHearings/218) და გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით.

შპს „გეო ენერჯი"-ს ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 12 იანვარს, 14:00 სთ-ზე, ქ. თბილისის N218 საჯარო სკოლის შენობაში და დამსწრე პირთა მიერ გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები, ასევე კანონმდებლობით დადგენილი წესით, აისახა საჯარო განხილვის ოქმში. ასევე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას (შესაბამისი ნორმებით დაგენილი სავალდებულო ყველა პროცედურისა და ეტაპის გავლას) ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ პროექტთან დაკავშირებით, სააგენტოში წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები გადაეგზავნა შპს „გეო ენერჯი"-ს. კერძოდ: ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ფონიჭალის მაცხოვრებლებისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები ფეროშენადნობების საწარმოსთან დაკავშირებით. ფონიჭალის მაცხოვრებლების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ დაგეგმილ საქმიანობას და აღნიშნავდნენ, რომ საწარმოს ფუნქციონირება, დასახლებულ პუნქტთან სიახლოვეს იქნებოდა საფრთხის შემცველი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა პროექტის ალტერნატივების ანალიზის, ბიომრავალფეროვნების კვლევების, ნიადაგზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი წიდის მართვის საკითხებს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის „კ" პუნქტის თანახმად: გზშ-ის ანგარიში სხვა საკითხებთან ერთად ასევე უნდა მოიცავდეს: სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას; აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 06 თებერვლის N68/ს ბრძანებით გაცემულ შპს „გეო ენერჯი"-ს მიერ ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე N1 სკოპინგის დასკვნაში, გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალში ასევე ასახულია ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოში წარმოდგენილი როგორც წერილობითი, ასევე საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები. შესაბამისად, შპს „გეო ენერჯი"-ს ვალდებულებაა, რომ მის მიერ გზშ-ის ეტაპზე, გათვალისწინებული იყოს ყველა საკითხი, მათ შორის, უარყოფითი პოზიცია, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების ამსახველი ინფორმაცია. აღნიშნული კი ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობას.

3. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების კანონშესაბამისობის საფუძვლებთან დაკავშირებით:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-თ მოწესრიგდა/განისაზღვრა ისეთი სტრატეგიული დოკუმენტების და სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე. აღნიშნული კოდექსი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს ავალდებულებს ნებისმიერი საქმიანობის განხილვას მხოლოდ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების ჭრილში, რაც საბოლოოდ ისევ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისკენ მიმართული ღონისძიებებია და რაც მთავარია, არც ერთ დაინტერესებულ პირს, საქმიანობის განმახორციელებელს, უფლება არ აქვს განახორციელოს გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შემცველი საქმიანობა ამ უფლების მიმნიჭებელი შესაბამისი გადაწყვეტილების, სანაცვლო მაკომპენსირებელი ღონისძიებებისა და აუცილებლად გასათვალისწინებელი პირობების განხორციელების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე კი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო მსჯელობს და გადაწყვეტილებას იღებს საქმიანობის დაწყებამდე, საკითხის მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში და ის მხოლოდ ამ უფლებამოსილების სწორად გამოყენების ფარგლებშია პასუხისმგებელი. ამასთან, რაც ასევე არსებითად მნიშვნელოვანია საქმიანობის დაწყებამდე, საქმიანობის განმახორციელებელს მიუთითებს და უწესებს იმ პირობებსა და განსახორციელებელ ღონისძიებებს, რომელთა დაცვისა და განხორცილების ფარგლებშიც ენიჭება მას საქმიანობის განხორციელების უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი საქმიანობა ჩაითვლება კანონსაწინააღმდეგოდ, რომელზეც რეაგირება წარმოადგენს უკვე სხვა ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას. სადავო საკითხის განხილვისას, მნიშვნელოვანია სწორედ ამ საკითხის დადგენა და შეფასება. იმ პირობებში, როცა სადავო გადაწყვეტილების მიღებისას, გადაწყვეტილების მიმღები ორგანო საქმიანობის განმახორციელებელს უწესებს გარემოს დაცვის, მასზე უარყოფითად ზემოქმედების თავიდან აცილების უმაღლეს სტანდარტებს, როგორ შეიძლება ასეთი წესები და პირობები ხელყოფდეს ან/და ზღუდავდეს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ და გარანტირებულ უფლებებს.

ამავე კოდექსის მე-3 მუხლის „ს", „ტ" და „უ" პუნქტებით: სკოპინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ისთვის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს; სკოპინგის ანგარიში წარმოდგენს წინასწარ დოკუმენტს, რომელიც საქმიანობის განმახორციელებელმა ან/და კონსულტანტმა მოამზადა და რომლის საფუძველზედაც სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას; ხოლო, სკოპინგის განცხადებაა წინასწარი დოკუმენტი, რომელიც დამგეგმავმა ორგანომ ან/და კონსულტანტმა მოამზადა და რომლის საფუძველზედაც სააგენტო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გასცემენ სკოპინგის დასკვნებს; აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოპინგი განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისათვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიში ასახვის საშუალებებს, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასება წარმოადგენს შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურას იმ დადგეგმილი საქმიანობისათვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე. გზშ მოიცავს სკოპინგს, გზშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას, მიღებული შედეგების შეფასების საფუძველზე ექსპერტიზის დასკვნის მომზადებას და მის მხედველობაში მიღებას ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, პირველი ნაწილის მიხედვით, სააგენტო ამ მუხლით დადგენილი წესით იხილავს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადებასა და სკოპინგის ანგარიშს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი წესით გასცემს სკოპინგის დასკვნას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილ წესთან შეუსაბამობის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი ნორმები. ამავე კოდექსის, მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით სკოპინგის დასკვნით განისაზღვრება გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევებისა და მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი". შესაბამისად, სკოპინგის დასკვნა არ გულისხმობს საქმიანობის განხორციელებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემას. სწორედ აღნიშნული ნორმების საფუძველზე, სადავო შემთხვევაში, სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, დადგენილ იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დადგენილი იქნა საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები. აღნიშნული/გასაჩივრებული სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული სავალდებულო პირობებისა და მითითებების გათვალისწინებით კი, უკვე შემდეგ უნდა მომზადდეს გზშ-ის ანგარიში. შესაბამისად, ვინაიდან, სკოპინგის დასკვნა არ გულისხმობს საქმიანობის განხორციელებაზე უფლების მინიჭებას და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, სკოპინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებებს, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია საკმარისი იყო იმისთვის, რომ სააგენტოს დაედგინა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დადგენილი იქნა საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები, რაც აისახა სკოპინგის დასკვნაში. შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა როგორც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული მოთხოვნები, ასევე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან მიღებული არგუმენტირებული მოსაზრებები და შენიშვნები. ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად: გზშ-ის ანგარიში სხვა ინფორმაციასთან/საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს: „ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით"; აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოპინგის დასკვნაში ალტერნატივების შესახებ ინფორმაციის ასახვა მოხდა კანონმდებლობის შესაბამისად. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, სააგენტოში წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიში, სააგენტო, როგორც სადავო სკოპინგის დასკვნის გაცემისას ხელმძღვანელობდა კანონის შესაბამისად და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე თანმიმდევრულად უზრუნველყო ყველა სავალდებულო ეტაპის გავლა, მათ შორის, საზოგადოებისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართულობა, საფუძვლიანი და დასაბუთებული შენიშვნების გათვალისწინება, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად იქნება უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული პირების მონაწილეობა, ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯარო განხილვის ჩატარება.

ასევე, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია მოსარჩელეთა მითითება, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დაირღვა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა (ტზ-1). ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ დებულების მე-15 მუხლის პირველი ნაწილის, მე-2 ნაწილის „თ" პუნქტისა და მე-5 ნაწილის „უ" და „ფ" პუნქტების თანახმად: უფლებრივი ზონირების განხორციელების მიზნით დედაქალაქის ტერიტორია იყოფა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გადაწყვეტების შესაბამის ზოგად ფუნქციურ ზონებად და განაშენიანების რეგულირების გეგმების გადაწყვეტების შესაბამის კონკრეტულ ფუნქციურ ზონებად (ქვეზონებად); თბილისის ტერიტორიაზე გამოყოფილ ერთ-ერთ ზოგად ფუნქციურ ზონას წარმოადგენს სამრეწველო ზონა (ს), რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ სამრეწველო გამოყენების ან/და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე ნივთიერებების მართვისთვის განკუთვნილ ტერიტორიებს; ხოლო ფუნქციური ქვეზონებია, სამრეწველო ზონა 1 (ს-1), რომელიც წარმოადგენს შერეულ სამრეწველო ქვეზონას და მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს და სამრეწველო ზონა 2 (ს-2) — ერთგვაროვანი სამრეწველო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ სამრეწველო გამოყენების და ნაგავსაყრელის ტერიტორიებს;

საქმეში წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 30 დეკემბრის N16-01223642060 წერილის თანახმად: ს-1-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; თუმცა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანხმობის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიეცემა შესაძლებლობა იმსჯელოს ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხთან დაკავშირებით, რისთვისაც საჭიროა მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ან უფლებამოსილმა პირმა სსიპ ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარადგინოს ელექტრონული განაცხადი. შესაბამისად, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გაითვალისწინა სსიპ ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია ფუნქციური ზონის ცვლილების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემთხვევაში, განხილვის შესახებ. მით უმეტეს, რომ როგორც ზემოთაც აღინიშნა სკოპინგი განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებებს, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასება წარმოადგენს შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების

გამოვლენისა და შესწავლის პროცედურას იმ დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე.

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ 2022 წლის 14 დეკემბერს, შპს „გეო ენერჯი"-მ, სააგენტოში წარმოადგინა სკოპინგის ანგარიში ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის თაობაზე, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული სკოპინგის პროცედურის გავლისა და სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით. სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ დადგინდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დადგენილი იქნა საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები. პროექტთან დაკავშირებით არსებული (როგორც საჯარო განხილვაზე გამოთქმული, ისე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წერილობით წარმოდგენილი) რელევანტური და საფუძვლიანი შენიშვნები/მოსაზრებები მხედველობაში იქნა მიღებული და აისახა სკოპინგის დასკვნაში (გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალში).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის, პირველი ნაწილის მიხედვით, სააგენტო ამ მუხლით დადგენილი წესით იხილავს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადებასა და სკოპინგის ანგარიშს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი წესით გასცემს სკოპინგის დასკვნას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილ წესთან შეუსაბამობის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი ნორმები. ამავე კოდექსის, მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით სკოპინგის დასკვნით განისაზღვრება გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების და მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი.

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში სკოპინგის დასკვნის გაცემისას არარსებობდა შესაბამისი წინაპირობები, რაც სააგენტოს სამართლებრივად მისცემდა შესაძლებლობას მიეღო სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, ამავე კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. ხოლო, მე-14 მუხლის თანახმად კი, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, თუ: ა) საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას; ბ) სკოპინგის ანგარიშით, გზშ-ის ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათისა და მოცულობის მიუღებლობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის შეუძლებლობა ან/და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა.

შესაბამისად, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სადავო გადაწყვეტილება კანონშესაბამისია, როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით და არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, უარი უთხრათ მოსარჩელეებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

გთხოვთ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩააბათ შპს „გეო ენერჯი" და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.

არგუმენტაცია:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. თუ სამართალურთიერთობაში მონაწილეობს 10 პირზე მეტი, მაშინ სასამართლო საქმეში ჩააბამს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ბრძანება პირდაპირ ეხება შპს „გეო ენერჯი"-ს ინტერესებს და გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში პირდაპირი და უშუალო ზიანი ადგება შპს „გეო ენერჯი"-ს და ის წარმოადგენს უშუალოდ ამ სამართალურთიერთობის მონაწილეს.

რაც შეეხება, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია სკოპინგის დასკვნის საფუძველზე გზშ-ის ანგარიშის/დასკვნაზე თანხმობის გაცემის, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს სწორედ ეს სააგენტო, რომლის პოზიციაც არსებითად მნიშვნელოვანი იყო სადავო სკოპინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, წარმოადგენს ამ სამართალურთიერთობის მონაწილეს და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით საქმეში მესამე პირად უნდა იქნეს ჩაბმული.

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია: » რთულადგანჭვრეტადი შედეგი; » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი; » სასამართლო ხარჯები; » სასამართლოსგარეშე ხარჯები; » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☒ რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი N1: „თამრიკო ფიცხელაურის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 20 ივნისის N87-კ ბრძანება - 2 (ორი) ფურცელი;

დანართი N2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები - 1 CD დისკი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 27 (ოცდაშვიდი) ფურცელი

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი - თამარ ფიცხელაური	10/05/2023 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.